

## საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს

### მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საკრებულო შეიკრიბა 16-ჯერ. ჩატარდა 12 გეგმიური და მოწვეული იქნა 4 რიგგარეშე სხდომა. საკრებულოს ბიურო შეიკრიბა 18-ჯერ. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის სხდომა გაიმართა 18-ჯერ, გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისია შეიკრიბა 9-ჯერ, იურიდიულ საკითხთა კომისია შეიკრიბა 19-ჯერ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია შეიკრიბა 5-ჯერ, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია შეიკრიბა 9-ჯერ.

2022 წელს საკრებულოს სხდომაზე გატანილ და განხილულ იქნა 124 საკითხი, მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები; გაფორმდა 54 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (დადგენილება), 75 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (განკარგულება). საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები ქვეყნდება სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე. თვითმმართველობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებზე და საქმიანობაზე სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. აღნიშნული ორგანოდან ამ დროისათვის მიღებულია 21 დასკვნა, შენიშვნები ნორმატიული აქტის მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში სამართლებრივად გაუმართაობაზე გათვალისწინებულია კანონით დადგენილ ვადაში.

საკრებულოს მიერ მოხდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ობიექტების სახელდება, კერძოდ განხორციელდა სამი სკვერის და ბაკურიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ორი ქუჩისათვის სახელის მინიჭება:

1. ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდა „მიხეილ თვაურის სახელობის სკვერი“
2. ქ. ბორჯომში გრ. ხანძთელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდა „ზურაბ დოიჯაშვილის სახელობის სკვერი“
3. დაბა წაღვერში დავით აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდა „სოსო მღებრიშვილის სახელობის სკვერი“
4. დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდა „ზაზა ლორია“-ს სახელობის ქუჩა.
5. დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდა „ალექსანდრე გვალის“ სახელობის ქუჩა

2022 წლის იანვრიდან საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო“-მ აქტიურად დაიწყო მუშაობა, საბჭო 2022 წელს შეიკრიბა 5 ჯერ, პირველ ეტაპზე საკრებულოს მიერ განხორციელდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022 წლის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცება, რომლის შემდეგაც საბჭოს მიერ დაიგეგმა არაერთი

ლონისძიება. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული იყვნენ როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეები და სტუდენტები, ასევე შშმ პირები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღის კამპანიის ფარგლებში არაერთი ღონისძიება და აქტივობა განხორციელდა, რომელშიც ჩართული იყვნენ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და სხვა კომპეტენტური პირები.

ასევე მინდა ავღნიშნო, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, 2022 წლის 19 ივლისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის ვალერიან ლომიძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, ხოლო 28 დეკემბერს გამართული ღონისძიება მიეძღვნა ქართული ენისა და ლიტერატურის დედაწმინდის პედაგოგის მარგარიტა მათაძის 95 წლის იუბილეს.

2022 წლის 15 ნოემბრიდან საკრებულოში აქტიურად დაიწყო 2023 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვა, შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი განთავსდა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [ბორჯომი \(borjomi.gov.ge\)](http://borjomi.gov.ge) და გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთ „ბორჯომში“, ასევე განთავსდა განცხადება, რომლის საფუძველზეც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო ჩართული ყოფილიყო მის განხილვაში და გაცნობოდა პროექტს ყველა სათანადო დანართით (პრიორიტეტების დოკუმენტი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, ა(ა)იპ-ების დაფინანსებები და სხვა).

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი გათვალისწინებული შესაბამისი ცვლილებებით შემოსულია საკრებულოში განხილვისა და დამტკიცების მიზნით, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა 2022 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე.

2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნა როგორც ადგილობრივ პრესაში ასევე სოციალურ ქსელში და მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე [ბორჯომი \(borjomi.gov.ge\)](http://borjomi.gov.ge) შესაბამისად ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული პირი.

საკრებულოს აპარატის მიერ შეგროვებული და შედგენილი იქნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ანგარიში საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გასაგზავნად და ასევე საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოსაქვეყნებლად.

2022 წელს საკრებულოში შემოსულია 415 ერთეული კორესპონდენცია, აქედან 196 ერთეული წერილი სხვადასხვა ორგანიზაციიდან, 135 განცხადება ფიზიკური პირებიდან. განცხადებების შინაარსიდან გამომდინარე 45 განცხადება შემოსულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის მოჭრა/გადაბეღვის თაობაზე, 20 განცხადება შემოსულია საჯარო რეესტრიდან სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, ასევე 19 განცხადება საკრებულოს საქმიანობის პროცესში წარმოშობილი დოკუმენტაციის და საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე.